

შპს გურმე

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
განმარტებითი შენიშვნები	7
ბოლო გვერდი	12

შპს „გურმე“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ათას ლარებში

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აქტივები			
<i>მიმდინარე აქტივები</i>			
ფულადი სახსრები	3	79	448
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		102	96
გადახდილი ავანსები		-	26
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები		54	81
წინასწარ გადახდილი გადასახადები		64	51
სულ მიმდინარე აქტივები		299	702
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
ძირითადი საშუალებები	4	1,658	967
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,658	967
სულ აქტივები		1,957	1,669
ვალდებულებები			
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5	444	222
ფინანსური იჯარა		44	44
სულ მიმდინარე ვალდებულებები		488	266
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>			
სასესხო ვალდებულება	6	1,122	1,122
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,122	1,122
სულ ვალდებულებები		1,610	1,388
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		347	281
სულ საკუთარი კაპიტალი		347	281
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		1,957	1,669

ხელმოწერილი პირი:

დირექტორი

შპს „გურმე“

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ათას ლარებში

	შენიშვნები	2019	2018
ამონაგები	7	1,717	1,623
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	8	(795)	(933)
საერთო მოგება		922	690
ადმინისტრაციული ხარჯი	9	(880)	(742)
სხვა შემოსავალი		16	21
ნეტო კურსთა შორის სხვაობა		45	(13)
საპროცენტო ხარჯები		(37)	(25)
(ზარალი)/მოგებადაბეგვრამდე		66	(69)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა (ზარალი)/მოგება		66	(69)

ხელმოწერი პირი:

დირექტორი

შპს „გურმე“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ათას ლარებში

	შენიშვნები	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი, 2017		-	457	457
პერიოდის ზარალი		-	(69)	(69)
დივიდენდის გადახდა		-	(107)	(107)
31 დეკემბერი, 2018		-	281	281
პერიოდის ზარალი		-	66	66
31 დეკემბერი, 2019		-	347	347

ხელმოწერილი პირი:

დირექტორი

შპს „გურმე“

**ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერი
ათას ლარებში**

	2019	2018
მოგება დაბეგვრამდე	66	(69)
კორექტირება		
ცვეთა და ამორტიზაცია	127	76
ნეტო კურსთა შორის სხვაობა	(45)	13
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
(ზრდა)/კლება სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(6)	(3)
(ზრდა)/კლება გადახდილ ავანსებში	26	(13)
(ზრდა)/კლება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	27	(10)
(ზრდა)/კლება წინასწარ გადახდილ გადასახადებში	(13)	(23)
(კლება)/ზრდა სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	269	(19)
ფულადი ნაკადების გასვლა საოპერაციო საქმიანობიდან	451	(48)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(818)	(624)
ფულადი ნაკადების გასვლა საინვესტიციო საქმიანობიდან	(818)	(624)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხის აღება	-	1,259
სესხის გადახდა	-	(182)
ფინანსური იჯარის აღება	-	84
ფინანსური იჯარის გადახდა	-	(40)
დივიდენდის გადახდა	-	(107)
ფულადი ნაკადების შემოსვლა საფინანსო საქმიანობიდან	-	1,014
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	(367)	342
საკურსო სხვაობა ფულად სახსრებზე	(2)	2
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	448	104
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	79	448

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „გურმე“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (ს/ნ 404407879) , რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში, 2012 წლის 16 ნოემბრიდან. საქართველოს კანონმდებლობის და დებულებების შესაბამისად. რეგისტრაციის მისამართი: საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ლ. პასტერის ქ. N7ა.

კომპანიის მფლობელები იყვნენ 33.3% ნანა ანთელავა, 33.4% ნინო მამულაშვილი და 33.3% ლიანა ჭელიძე. 2019 წლის 5 სექტემბრიდან მფლობელების წილი შეიცვალა შემდეგნაირად - ნინო მამულაშვილი 66.7% და ლიანა ჭელიძე 33.3%.

კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას წარმართავს კომპანიის დირექტორი - ნინო მამულაშვილი.

შპს „გურმე“ ეწევა საცალო ვაჭრობას პურიით, ნამცხვრებით, ფქვილოვანი და შაქრიანი საკონდიტრო ნაწარმით სპეციალიზებულ მაღაზიებში.ქ

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართულნი ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31-დეკ-18	31-დეკ-17
1 USD/GEL	2.6766	2.5922
1 EUR/GEL	3.0701	3.1044

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოების (IFRS for SME) 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება 2019 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, 2019 წლის ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებების და განმარტებითი შენიშვნებისგან.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს განგრძობითობის რისკის დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების წამგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების მაჩვენებელი, ხდება აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება და შედარება მის საბალანსო ღირებულებასთან. იმ შემთხვევაში თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების ზარალი აღიარდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თითოეული მარაგის ელემენტის (ან მსგავსი მარაგების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით. თუ მარაგი (ან მსგავსი მარაგების ჯგუფი) გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, როდესაც საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემა ხდება კომოანისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ მიღწეულ იქნეს მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები გამოკლებულია მოგებისა და ზარალის განსაზღვრისას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მუხლები ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც დაკლებული აქვს ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა ნაგებობები	5%
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	20%
იჯარით აღებული ქონება	50%
სატრანსპორტო საშუალებები	20%
ოფისის აღჭურვილობა	15%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი და გადაეცემა საკუთრების უფლება.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას.

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულება გამოითვლება პირველი შემოსავალში, პირველი გასავალში (ფიფო) მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო ვადა აღემატება სტანდარტულ საკრედიტო ვადას, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება უნდა გადაიხედოს, რათა მოხდეს იმის განსაზღვრა არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მოთხოვნები არ არის ამოღებადი. ასეთ შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა.

შპს „გურმე“
შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2019 წლის 31 დეკემბერი
ათას ლარებში

3. ფულადი სახსრები

ფულადი სახსრები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	67	445
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	9	1
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	3	2
სულ ფულადი სახსრები	79	448

4. ძირითადი საშუალებები

	ოფისის აღჭურ- ვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	შენობა	იჯარით აღებული ქონების კეტილმოწყობა	იჯარით აღებული ქონება	სულ
ღირებულება						
31 დეკემბერი 2017	337	72	-	47	-	456
მატება	7	3	530	-	84	624
31 დეკემბერი 2018	344	75	530	47	84	1,080
მატება	211	-	603	4	-	818
31 დეკემბერი 2019	555	75	1,133	51	84	1,080
დაგროვილი ცვეთა						
31 დეკემბერი 2017	31	1	-	5	-	37
ცვეთის ხარჯი	27	2	-	5	42	76
31 დეკემბერი 2018	58	3	-	10	42	113
ცვეთის ხარჯი	40	2	38	5	42	127
31 დეკემბერი 2019	98	5	38	15	84	240
ნარჩენი ღირებულება						
31 დეკემბერი 2018	306	71	-	42	-	419
31 დეკემბერი 2019	286	72	530	37	42	967
31 დეკემბერი 2019	457	70	1,095	36	-	1,658

5. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სავაჭრო ვალდებულებები	415	210
სხვა ვალდებულებები	29	12
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	444	222

6. სესხები

სესხები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება ბანკისგან დოლარში	1,122	1,122
სულ სესხები	1,122	1,122

7. ამონაგები

2019 წლის ამონაგები მოიცავს შემოსავალს საქონლის რეალიზაციიდან 1,717 ათასი ლარის ოდენობით < 2018 წელს - 1,623 ათასი ლარის ოდენობით.

8. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება შედგება მასალების ღირებულებისგან, 795 ათასი ლარი 2019 წელს, 933 ათასი ლარი 2018 წელს.

9. ადმინისტრაციული ხარჯები

ადმინისტრაციული ხარჯები	2019	2018
ხელფასის ხარჯი	273	484
ცვეთის ხარჯი	127	76
იჯარის ხარჯი	92	30
სხვა ხარჯი	388	152
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	880	742

ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ხელფასის ხარჯი.

10. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

2020 წლის დასაწყისში დადასტურდა მწვავე ვირუსული დაავადების კორონავირუსის („COVID 19“) არსებობა, რამაც მსოფლიოში ეკონომიკისა და ბიზნესსაქმიანობის შეფერხება გამოიწვია. ვირუსმა და მასთან დაკავშირებულმა მოვლენებმა 2020 წელს მცირედით შეაფერხა კომპანიის ოპერაციები. თუმცა მენეჯმენტის შეფასებით, COVID 19-თან დაკავშირებულ რისკებს მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენის მოხდენა არ შეუძლია კომპანიის საქმიანობასა და მის უნარზე საქმიანობა გააგრძელოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

სხვა მნიშვნელოვანი მოვლენა პერიოდის შემდგომ არ ფიქსირდება.

11. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მენეჯმენტის ხელფასი	2019	2018
ხელფასი და სხვა სარგებელი	11	13
სულ მენეჯმენტის ხელფასი	11	13

12. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ეს ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტმა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 30 სექტემბერს.